

ინვესტორთა საბჭოს მერვე სხდომის ოქმი

21 მარტი, 2018 წ., 16:00სთ., სახელმწიფო კანცელარია

სხდომის თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ

ინვესტორთა საბჭოს წევრები:

- გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი, ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე
- დიმიტრი ქუმსიშვილი, პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
- მამუკა ბახტაძე, ფინანსთა მინისტრი
- ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი
- ზურაბ ალავიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი
- ირაკლი ლეჟინაძე, ბიზნეს ომბუდსმენი
- მაიქელ ქოუგილი, პრეზიდენტი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- ირაკლი ასლანიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- ნინო ჩიქოვანი, პრეზიდენტი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
- ზვიად ჭუმბურიძე, პრეზიდენტი, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- ფადი ასლი, თავმჯდომარე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- იან ვან ბილსენი, რეგიონალური დირექტორი კავკასიაში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
- ბრუნო ბალვანერა, კავკასიის, მოლდოვასა და ბელორუსის დირექტორი, ევრობანკი
- მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

მოწვეული სტუმრები:

- კატარინა მატერნოვა, ევროკომისიის ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილე
- ოლაფ ზიმელკა, აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის დირექტორი, KfW
- თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი
- გიორგი მიქაუტაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
- იანოშ ჰერმანი, ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი
- ჯასტინ მაქენზი სმიტი, ბრიტანეთის ელჩი საქართველოში
- მათიე ბუსკე, საქართველოს და მოლდოვის წარმომადგენლობის უფროსი, ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატი
- ვინსენტ რეი, თანამშრომლობის ხელმძღვანელი, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში
- ოზან სევიმლი, ქვეყნის პროგრამების კოორდინატორი, მსოფლიო ბანკი
- გიორგი ჩოგოვაძე, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის თავმჯდომარე
- ჟან-ფრედერიკ პოლსენი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის უფროსი მრჩეველი
- გიორგი კაჭარავა, პროექტების დირექტორი, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- ჯორჯ უელტონი, აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- ზურაბ კაჭკაჭიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- ბექა ინჯია, იურიდიული ექსპერტი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა
- ლორეტა მარტიკიანი, კომუნიკაციები, ევრობანკი
- გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
- ერეკლე კოკაია, ბიზნეს ანალიტიკოსი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
- ზურაბ ძნელაშვილი, ბიზნეს ომბუდსმენის მოადგილე
- გივი ჭანუყვაძე, პროექტების მენეჯერი, GGF
- ეკატერინე მიქაბაძე, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე

პრემიერ-მინისტრის მისასალმებელი სიტყვა:

გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი:

- მიესალმა დამსწრეებს და წარადგინა ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილე კატარინა მეტერნოვა

კატარინა მატერნოვამ, ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილემ:

- დაადასტურა თავისი მრავალწლიანი მტკიცე მხარდაჭერა საქართველოსადმი.
- ისაუბრა ევროკავშირის ახალ პროგრამებზე ენერჯო ეფექტურობის, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად.
- წარმოადგინა პრეზენტაცია ევროკავშირის მიერ საქართველოში ინვესტიციების მხარდასაჭერის შესახებ, რომელიც მოიცავს მდგრადი განვითარების დაფინანსებას, ტექნიკურ დახმარებასა და შემდგომ რეფორმებს.
- წარადგინა ევროკავშირის ახალი კომპლექსური პროგრამა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მხარდაჭერას, კლასტერების და ინკუბატორების განვითარებას, კომერციული სამართლისა და გადახდის უზუნარობის კანონმდებლობისა და პროცედურების გაუმჯობესებას.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- დაადასტურა ევროპული ღირებულებების მიმართ საქართველოს ხელისუფლების ერთგულება.

მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, მათ შორის კატარინა მატერნოვას და ოლაფ ზიმელკას ასევე ელჩებს იანოშ ჰერმანსა და ჯასტინ მაკენზი სმიტს საქართველოს მხარდაჭერისათვის
- წარადგინა დღის წესრიგი.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- დაადასტურა მადლიერება ელჩებისა და KFW-სადმი საქართველოს მხარდაჭერისთვის.

2017 წლის 11 დეკემბრის ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების სტატუსი

1. სასამართლო რეფორმა:

მომხსენებელი: თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი

ძირითადი საკითხები:

- საქართველოს სასამართლოში კომერციული და საგადასახადო პალატების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით GGF-ის მიერ დაფინანსებული პროექტის საწყისი ფაზა, რომელიც მოიცავდა შეხვედრებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, უკვე დასრულებულია.
- მზადდება მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, მათ შორის, ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ კანონში კომერციულ და საგადასახადო პალატებთან დაკავშირებით
- საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტების შემუშავების პროცესი სავარაუდოდ 2018 წლის გაზაფხულზე დასრულდება.
- GIZ-ის მხარდაჭერით განხორციელდება რეგულირების გავლენის ანალიზი (RIA).
- საკანონმდებლო ცვლილების პარლამენტისადმი წარდგენა დაგეგმილია სექტემბერში საშემოდგომო სესიაზე განსახილველად.
- არსებობს გარკვეული გამოწვევები ახალი და არსებული მოსამართლეების შრომის ანაზღაურებასთან და ტრენინგებთან დაკავშირებით.

კომენტარები:

მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- ხაზი გაუსვა ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად კომერციული და საგადასახადო პალატების მნიშვნელობას.
- განმარტა, რომ პროექტის მხარდაჭერისთვის დონორების ინიციატივათა კოორდინირების მიზნით ინვესტორთა საბჭოს სამდივნო აქტიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსთან. ამავე მიზნით, რამდენიმე შეხვედრა მოეწყო დონორებსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს შორის ევრობანკის ოფისში.
- განმარტა რომ მთავარი საკითხი, რომელიც ინვესტორთა საბჭოს წევრებს კრიტიკულად მიაჩნიათ, არის მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნის პროცესი და კომერციული პალატების იურისდიქცია.

ბრუნო ბალვანერამ, ევრობანკის დირექტორმა:

- გამოხატა ევრობანკის სრული მხარდაჭერა წარმოდგენილ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით, რომელსაც ქვეყნის დღის წესრიგში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა უწოდა.
- დაადასტურა ევრობანკის მხარდაჭერა ახალი მოსამართლეების ტრენინგებისთვის და გამოხატა მზადყოფნა მომზადდეს ტრენინგთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების პირობები, რათა პროექტი გათვალისწინებული იქნას ევრობანკის შემდეგი წლის ბიუჯეტში.

მაიქელ ქოუგილმა, საქართველოს ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა:

- გამოხატა კმაყოფილება პროექტის განხორციელების ტემპით.
- გამოთქვა მზადყოფნა სავაჭრო პალატის სახელით მონაწილეობა მიიღოს ბიზნესის წარმომადგენელთა სამუშაო ჯგუფში, რომელიც დამატებითი რესურსი იქნება იუსტიციის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული პირების, მათ შორის პროექტის ჯგუფის წევრებისთვის.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო გააგრძელებს მუშაობას სხვადასხვა დონორებთან კომერციული პალატების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ინვესტორთა საბჭოს სამდივნო გააგრძელებს

პროექტის ჯგუფთან თანამშრომლობას, რათა უზრუნველყოს კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ეფექტურობა ამ საკითხში.

2. საპენსიო რეფორმა

მომხსენებელი: მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

ძირითადი საკითხები:

- საპენსიო რეფორმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ინვესტორთა საბჭოს სამდივნომ მოაწყო ძირითადი დაინტერესებული მხარეების შეხვედრა პირველ ვიცე-პრემიერ, ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილთან და ფინანსთა მინისტრ ბატონ მამუკა ბახტაძესთან.
- შეხვედრაზე წამოიჭრა ორი საკითხი:
 - ა) კერძო საპენსიო ფონდების მონაწილეობის შესაძლებლობა ნებაყოფლობითი ნაწილის საპენსიო სქემაში, წარმოდგენილი რეგულაციებისა და წესების გათვალისწინებით
 - ბ) მესამე სვეტის კანონმდებლობის მიღება მეორე სვეტის კანონმდებლობის პარალელურად, დანაზოგების შექმნის წახალისებისთვის.
- დაიგეგმება კიდევ ერთი შეხვედრა ზემოხსენებულ საკითხებსა და საკანონმდებლო ცვლილებებზე პოზიციათა საბოლოო შეჯერების მიზნით.

დიმიტრი ქუმსიშვილმა, პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა:

- ისაუბრა კერძო და საჯარო სექტორებს შორის მსგავსი შეხვედრების ნაყოფიერებაზე და კერძო სექტორის რეკომენდაციების მაღალ ხარისხზე, რაც ხელისუფლების მიერ მათ გათვალისწინებას განაპირობებს.
- პოზიტიური გამოცდილებიდან გამომდინარე, ხაზი გაუსვა კერძო სექტორსა და ხელისუფლების თანამშრომლობის აუცილებლობას.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- ისაუბრა საპენსიო რეფორმის მეორე სვეტის მნიშვნელობაზე, თუმცა აღნიშნა მესამე სვეტის წახალისების საჭიროებაც.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო უახლოეს მომავალში მოაწყო შეხვედრას საკანონმდებლო ცვლილებებზე აზრთა საბოლოოდ შეჯერების მიზნით.

3. ორგანული კანონი სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ

მომხსენებელი: გიორგი ჯუღელი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს იურიდიული ექსპერტი

ძირითადი საკითხები:

- ინვესტორთა საბჭოს სამდივნომ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა ორგანული კანონის პროექტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებით და გაუზიარა თავისი კომენტარები და რეკომენდაციები პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს.
- უმნიშვნელოვანესია კანონს არ მიენიჭოს უკუძალა
- კანონი უნდა ითვალისწინებდეს გამონაკლისებთან დაკავშირებით გადაწყვეტის მიმღებ ორგანოს.
- გამონაკლისების კრიტერიუმები ორგანულ კანონში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და ითვალისწინებდეს დასაქმებას, ინვესტიციის მოცულობას, ტექნოლოგიურ ინოვაციებს და „განსაკუთრებულ სოციალურ სარგებელს“.
- ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს სამუშაო ჯგუფი მზად არის ითანამშრომლოს დაინტერესებულ მხარეებთან კანონპროექტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- დაადასტურა რომ კანონს არ იქნება უკუძალა.
- გამოთქვა სურვილი, რომ ინვესტორთა საბჭოს ფარგლებში ჩატარდეს კერძო და საჯარო სექტორებს შორის რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ორგანული კანონის თაობაზე.
- ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებისთვის საუკეთესო გადაწყვეტის მოძებნის აუცილებლობას.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო მოაწივებს შეხვედრას შესაბამისი კანონპროექტის განხილვის მიზნით.

4. ტურიზმის საბჭოს თანამშრომლობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან

მომხსენებელი: მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

ძირითადი საკითხები:

- ჩამოყალიბდა ტურიზმის საბჭო, რომლის მთავარი მიზანია ტურიზმის ბიუჯეტის განხილვა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ტურიზმის ადმინისტრაციისთვის რეკომენდაციების მიწოდება ბიუჯეტის მთავრობისთვის წარდგენამდე
- საბჭო შედგება ტურიზმისა და სასტუმროების სექტორის წამყვანი პროფესიონალებისა და მარკეტინგის ექსპერტებისგან.
- საბჭო მართავს კვარტალურ შეხვედრებს. საბჭოს პირველ სხდომას ესწრებოდნენ პირველი ვიცე-პრემიერი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ბ-ნ დიმიტრი ქუმსიშვილი, მინისტრის უფროსი მრჩეველი ბ-ნ ჟან ფრედერიკ პოულსენი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარე ბ-ნ გიორგი ჩოგოვაძე.

დიმიტრი ქუმსიშვილმა, პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა:

- ხაზი გაუსვა კერძო სექტორის გამოცდილებისა და ექსპერტიზის მნიშვნელობას ეფექტური შედეგების მისაღწევად.

გადაწყვეტილება:

ტურიზმის საბჭოს შეხვედრა გაიმართება აპრილში

სხვადასხვა

საქართველოს მოქალაქეების დროებითი დასაქმება ევროკავშირში

ზვიად ჭუმბურიძემ, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტმა:

- გამოთქვა სურვილი, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა, საქართველოს ხელისუფლებამ და დონორებმა გააძლიერონ მუშაობა საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში დროებით დასაქმებასთან დაკავშირებით.
- განმარტა თუ რა დადებითი შედეგები ექნება ამ ინიციატივას, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი კანონდარღვევებისა და „შეჩერების მექანიზმის“ ამოქმედების რისკის შემცირების კუთხით.
- წარადგინა ეს საკითხი შემდგომი სხდომის დღის წესრიგში გასათვალისწინებლად და გამოთქვა შესაბამისი სამინისტროებიდან და სახელმწიფო ორგანოებიდან წარმომადგენლების მოწვევის სურვილი.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრი:

- დაეთნხმდა შემდეგი სხდომის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანას.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ხელმძღვანელობით, ჩამოაყალიბებს სამუშაო ჯგუფს, შემდეგი სხდომისთვის საკითხის მომზადების მიზნით.

პროფესიული განათლება

ნინო ჩიქოვანმა, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა:

- გამოთქვა, ინვესტორთა საბჭოს შემდეგ სხდომაზე, პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის სურვილი.
- მიმოიხილა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გამოცდილება ამ მიმართულებით და აღნიშნა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინების აუცილებლობა. განსკუთრებით ხაზი გაუსვა გერმანული მოდელის უპირატესობებს.
- გამოხატა მოსაზრება, დაინტერესებული მხარეებისა და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ბაზაზე, სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების თაობაზე, კონცეფციისა და საკანონმდებლო რეკომენდაციების მომზადების მიზნით.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- დათანხმდა საკითხის დღის წესრიგში შეტანას, გამომდინარე მისი მნიშვნელობიდან.

კატარინა მატერნოვამ, ევროკომისიის ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილემ:

- ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირს გრანტების სახით გამოყოფილი აქვს 50 მილიონი ევრო პროფესიული განათლებისთვის.

ოლაფ ზიმელკამ, აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის დირექტორმა, KFW:

- გამოთქვა პროფესიული განათლების გერმანული გამოცდილების ქართველი კოლეგებისათვის გაზიარების სურვილი.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- მადლობა გადაუხადა ბატონ ზიმელკას შემოთავაზებისთვის და აგრეთვე მადლობა გადაუხადა KFW-ს მისი საქართველოში განხორციელებული საქმიანობის გამო.

ბრუნო ბალვანერამ, ევრობანკის დირექტორმა:

მადლიერება გამოხატა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც, ინვესტორთა საბჭოს სამუშაო საკითხების მოგვარების მიზნით, აქტიურად არიან ჩართული სამუშაო ჯგუფებში გამართულ დისკუსიებში.

საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართება 2018 წლის ივნისში

შეხვედრის დღის წესრიგი, სხვა თემებთან ერთად, იქნება:

1. ორგანული კანონის პროექტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ
2. საქართველოს მოქალაქეების დროებითი დასაქმება ევროკავშირის ტერიტორიაზე
3. პროფესიული განათლება
4. საქართველოს სტუდენტური ვიზები უცხოელი სტუდენტებისთვის

გიორგი კვირიკაშვილი

მარიამ მეღვინეთუხუცესი

ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი